სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება

08.02.2016 № 17

თბილისი

დოქტორანტურაში მიღების
გამოცხადების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სტუ-ს დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 თებერვლის № 1905 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2015-2016 სასწავლო წელს მეორე სემესტრიდან სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების სწავლების პირველ წელზე .
2. სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსს დ.ბიბილეიშვილს;
3. საბუთების მიღება სადოქტორო პროგრამების შესაბამის ვაკანსიებზე განხორციელდეს ფაკულტეტების დეკანატებში 2016 წლის 9 თებერვლიდან 12 თებერვლის ჩათვლით
4. განცხადებების რეგისტრაცია, არსებული წესის თანახმად, დაევალოს სტუ-ს კანცელარიას;
5. გამოცდა უცხოურ ენაში ჩატარდეს 15 თებერვალს სტუ-ს საგამოცდო ცენტრში, სტუ-ს I კორპუსი, კოსტავას ქ. 68. საპრეტენზიო განცხადებების მიღება და მათი განხილვა იმავე დღეს, გამოცდების საბოლოო შედეგები გამოცხადდეს 16 თებერვალს.
6. გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიებში ჩატარდეს 2016 წლის 22 თებერვალს 12 საათიდან;
7. საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს 2016 წლის 22 თებერვლიდან 23 თებერვლის 13 საათამდე, მათი განხილვა 23 თებერვალს 14 საათიდან;
8. საბოლოო შედეგები გამოცხადდეს ა. წ. 24 თებერვალს;
9. ჩარიცხვის პროცესი დასრულდეს 2016 წლის 26 თებერვალს;
10. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს.
11. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ვებგვერდზე.

რექტორი ა.ფრანგიშვილი

ვიზები:

ვიცე-რექტორი ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი ი. ლომიძე

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ. მაისურაძე

1. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი - სტუ-ს VIII კორპუსი, მე-4 სართული, ოთახი 410; მ.კოსტავას 77
   საკონტაქტო ტელეფონი - 593 39 31 32

2. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი - სტუ-ს III კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი 306, მ.კოსტავას 77
   საკონტაქტო ტელეფონი - 238 00 50

3. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი - სტუ-ს VI კორპუსი, მე-9 სართული , ოთახი 912 ა, მ.კოსტავას 77;
   საკონტაქტო ტელეფონი - 599 17 70 79

4. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი - სტუ-ს VI კორპუსი, მე-3 სართული , ოთახი 303 ა, მ.კოსტავას 77
   საკონტაქტო ტელეფონი - 237 13 19;